ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №419604

ნომერი: AR189291

თარიღი : 29.10.2012

გაცემის თარიღი : 06.11.2012

გაცნობის თარიღი : 06.11.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანდრო დოლიძე პ/ნ 01009012013
- ქ.თბილი, ვაჟა-ფშაველას 51

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. "ნიუ ჰაუსი" კოდი: 404914287

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის07 მაისის№139672 გადაწყვეტილებითდადგენილმიწისნაკვეთისსამშენებლოდგამოყენებისპირობებშიდამატებისშეტანისთაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 29 ოქტომბერს № AR189291 განცხადებით მომართა შპს „ენტერტეინმენტ ჰოლდინგი“-ს დირექტორმა ეკატერინე ჯანელიძემ და მოითხოვა სამსახურის 2012 წლის 07 მაისის №139672 გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში დამატების შეტანა მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების ცვლილებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2012 წლის 07 მაისს №139672 გადაწყვეტილებით დადგინდა ქალაქი თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №34-ში არსებული შენობის მიშენება-დაშენებით რეკონსტრუქციისათვის (მასში ბავშვთა გასართობის ცენტრის მოწყობის მიზნით) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
განმცხადებლის განმარტებით მოხდა მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება (კოორდინატთა სისტემის ცვლილება), თუმცა საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის ფართობი უცვლელი დარჩა და ითხოვს შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია 2012 წლის 07 მაისს №139672 გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 07 მაისს №139672 გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი №01.14.03.040.221, ფართობი: 580 კვ.მ, რეგისტრაციის №892012056342 19.10.2012წ) და სამსახურის მიერ განსაზღვრული ფუნქციური ზონების ახალი სქემა (დანართი №1);
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 07 მაისს №139672 გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა: „შენიშვნა: შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია უნდა განხორციელდეს მიწის ნაკვეთზე მოქმედი ფუნქციური ზონების დაცვით (საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)-ის არეალში”;
3. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 07 მაისს №139672 გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.